2632-15-3-2-201903041748

N 15-3/2632
04/03/2019

საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ქალბატონ თეა წულუკიანს

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა

სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის N■ დაწესებულების საექიმო-სამედიცინო პუნქტის ექიმის ' ... ' მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21–ე მუხლის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ქალბატონო თეა,

2019 წლის 7 თებერვალს ჩემი რწმუნებული შეხვდა და გაესაუბრა სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის N■ დაწესებულებაში განთავსებულ ბრალდებულ . ბრალდებულის მტკიცებით, 2019 წლის 28 იანვარს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს მე-3 განყოფილების თანამშრომლებმა მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა.

საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულის მიერ 2019 წლის 7 თებერვალს ბრალდებულთან გასაუბრებისას შედგენილი ოქმის მიხედვით, , *ს მარცხენა ხელის ნეკა და არათითზე აღენიშნებოდა დაზიანებები, რაც მისი განმარტებით მიაყენეს პოლიციის თანამშრომლებმა".*

2019 წლის 12 თებერვალს, მოცემულ საქმესთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა N15-3/1749 წერილით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციას დროებითი მოთავსების იზოლატორში შესახლებისას შედგენილი ... სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოდგენის მოთხოვნით.

2019 წლის 19 თებერვლის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის MIA 6 19 0042881 წერილით აპარატში წარმოდგენილ იქნა მოთხოვილი დოკუმენტაცია. საქართველოს

შინაგან საქმეთა სამინისტროს მარნეულის დროებითი მოთავსების იზოლატორში 2019 წლის 28 იანვარს შედგენილი გარეგნული დათვალიერების ოქმის მიხედვით, ბრალდებულ [redacted] ეენიშნებოდა: *„მარჯვენა ყურზე, ორივე ზედა და ქვედა კიდურზე ძველი ნაწიბურები, სახეზე და ტანზე ალერგიული გამონაყარი, მარცხენა ხელის IV-V თითებზე მცირე ექსკორიაცია. მისი განმარტებით, აღნიშნული დაზიანებები მიღებული აქვს დაკავებამდე. თუ რა ვითარებაში არ განმარტავს.“*

გარდა ამისა, 2019 წლის 12 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა N15-3/1748 წერილით მიმართა სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის N[redacted] დაწესებულებას ხსენებულ დაწესებულებაში შესახლებისას შედგენილი [redacted] ს სხეულის დაზიანებების ამსახველი დოკუმენტაციის წარმოდგენის თაობაზე.

2019 წლის 15 თებერვლის სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის N[redacted] დაწესებულების №40301/01 წერილით აპარატში წარმოდგენილ იქნა ბრალდებულ [redacted] დაწესებულებაში შესახლებისას შედგენილი სამედიცინო ცნობა სხეულის გარეგანი დათვალიერების შესახებ. სამედიცინო ცნობა N654-ის თანახმად, რომელიც შედგენილია 2019 წლის 3 თებერვალს, [redacted] ა, ექიმ [redacted] მიერ საქართველოს კანონის „პატიმრობის კოდექსის“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N117 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N[redacted] პენიტენციური დაწესებულების დებულების“ მე-15 მუხლის მე-18 პუნქტისა და მე-16 მუხლის მე-16 პუნქტის შესაბამისად ჩაუტარდა სხეულის სრული (ვიზუალური) შემოწმება-დათვალიერება, რა დროსაც მას *„ახალი ტრავმული დაზიანება არ აღენიშნება“.*

ამდენად, ნათელია, რომ ექიმმა, [redacted] ჭა [redacted] ს სხეულზე არსებული დაზიანებები, რომლებიც დაფიქსირებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მარნეულის დროებითი მოთავსების იზოლატორში 2019 წლის 28 იანვარს შედგენილი გარეგნული დათვალიერების ოქმსა და საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულის მიერ ბრალდებულთან გასაუბრებისას შედგენილ ოქმში, არ დააფიქსირა დოკუმენტურად.

სამართლებრივი დასაბუთება:

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ბრალდებულის/მსჯავრდებულის შესახლებისას სრული სამედიცინო შემოწმება და მათ სხეულზე არსებული დაზიანებების დაწესებულების სამედიცინო პერსონალის მიერ აღრიცხვის ვალდებულება დადგენილია საერთაშორისო სტანდარტებით. აღნიშნული სტანდარტები განმტკიცებულია აგრეთვე საქართველოს ეროვნული კანონმდებლობით.

„პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების“ N24 წესი ადგენს საპატიმრო დაწესებულებაში მიყვანისას პატიმრის სამედიცინო შემოწმების სტანდარტს: „თითოეულმა პატიმარმა უნდა გაიაროს სამედიცინო შემოწმება მისი საპატიმროში მოყვანისთანავე...“.

„ევროპული ციხის წესების“ 15.1 წესის თანახმად, „მიღებისას თითოეულ პატიმართან დაკავშირებით დაუყოვნებლივ უნდა დაფიქსირდეს ყოველი სხლული დაზიანება და საჩივარი

მოყვანამდე განცდილ ცუდად მოპყრობასთან დაკავშირებით.“ 42.3 წესის „გ“ პუნქტის შესაბამისად, „პატიმრის გასინჯვისას მედიცინის მუშაკი ან კვალიფიცირებული მედდა განსაკუთრებული გულისხმიერებით უნდა მოეპყრას შემდეგ საკითხებს: პატიმართა მიმართ ძალადობრივი მოპყრობის ნებისმიერი ნიშნის ან გამოვლინების დაფიქსირება და შესაბამისი ხელმძღვანელობისათვის შეტყობინება.“

„სამედიცინო პერსონალი ვალდებულია, გასინჯოს თითოეული პატიმარი ციხეში მიღებიდან უმოკლეს პერიოდში. წესებზე დაყრდნობით, აღნიშნული პირველადი შემოწმება უნდა ემსახურებოდეს როგორც ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმებას და მკურნალობას, ასევე ფსიქოლოგიური ან სხვა ტიპის სტრესის, ან არასათანადო მოპყრობის ნებისმიერი ნიშნის გამოვლენას, რომელთა აღმოჩენის შემთხვევაში, აუცილებელია მათი დაფიქსირება...“[1].

„ციხის ექიმები ვალდებულები არიან, შეამოწმონ და დოკუმენტურად ასახონ ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სექსუალური ძალადობის ყველა ნიშანი...[2]“

ბრალდებულის საპატიმრო დაწესებულებაში შესახლებისას გარეგნული დათვალიერებისა და სხეულზე არსებული დაზიანებების დოკუმენტირების წესი დეტალურად არის გაწერილი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. კერძოდ, „საქართველოს პატიმრობის კოდექსი“-ს 75-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, „პატიმრობის დაწესებულებაში მიღებისას ბრალდებულმა უნდა გაიაროს სამედიცინო შემოწმება. მას ახორციელებს პატიმრობის დაწესებულების ექიმი. ბრალდებულის სამედიცინო შემოწმების შესახებ დგება შესაბამისი ცნობა.“

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N117 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N[redacted] პენიტენციური დაწესებულების დებულების“ მე-15 მუხლის მე-18 პუნქტით: „ბრალდებულის და მისი კუთვნილი ნივთების შემოწმების შემდგომ, ბრალდებულმა უნდა გაიაროს სამედიცინო შემოწმება, რომელსაც ახორციელებს დაწესებულების ექიმი. სამედიცინო შემოწმების დროს ხდება ბრალდებულის გარეგნული დათვალიერება და დადგენილი წესით ამბულატორიული პაციენტის სამედიცინო ბარათის შევსება. გარეგნული დათვალიერების შესახებ დგება შესაბამისი ცნობა. **ბრალდებულის სხეულზე დაზიანების, დეფორმაციების, ნაწიბურების და ნანემსარების შემთხვევაში ხდება მათი აღწერა. აღნიშნული ცნობის ასლი ჩაიდება პირად საქმეში**”.

ამავე დებულების მითითებული მუხლის 18[1] პუნქტის თანახმად კი: „თუ ამ მუხლის მე-18 პუნქტით დადგენილი წესით სამედიცინო მომსახურების გაწევისას, ექიმი ბრალდებულს შეამჩნევს რაიმე სახის ფიზიკურ დაზიანებას, ემოციური მდგომარეობის ცვლილებას ან/და სხვა ისეთ გარემოებას, რომელიც ობიექტურ პირს აღუძრავდა ეჭვს პაციენტის მიმართ განხორციელებული შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შესახებ, სქესობრივი ძალადობის ჩათვლით, ექიმი ვალდებულია, იხელმძღვანელოს „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი

---

[1] გაეროს განახლებული მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ („ნელსონ მანდელას წესები“). წესი 30, 34.

[2] „ციხის ჯანდაცვა - მკურნალობა და სამედიცინო ეთიკა“. ევროპის საბჭოს გამოცემა. ივლისი, 2014წ. გვ 29.

მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 26 ოქტომბრის №131 ბრძანებით დადგენილი წესით".

ამდენად, აუცილებელია, რომ სამედიცინო პერსონალმა ბრალდებულის საპატიმრო დაწესებულებაში შესახლებისას, მისი სხეულის დათვალიერების შედეგად დროულად და ზუსტად ასახოს გამოვლენილი დაზიანებები. აღნიშნული მნიშვნელოვანია პოლიციის მუშაკთა მხრიდან შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტის დროული და ეფექტიანი გამოძიების წარმართვისათვის. შესაბამისად, აღნიშნული მიმართულებით ექიმის მიერ საკუთარი მოვალეობის სრულყოფილად შესრულებას ერთ-ერთი საკვანძო როლი აკისრია.

მოცემული საქმის შესწავლით დადასტურდა, რომ ბრალდებულ
დაკავების შემდეგ დროებითი მოთავსების იზოლატორში შესახლებისას აღმოაჩნდა სხეულის გარკვეული ხილული დაზიანებები, რაც დაფიქსირდა იზოლატორის სამედიცინო პერსონალის მიერ 2019 წლის 28 იანვარს შედგენილ სამედიცინო ცნობაში. აღნიშნული დაზიანებები კვლავ შესამჩნევი იყო 2019 წლის 7 თებერვალს - ჩემი რწმუნებულის მიერ ბრალდებულთან გასაუბრების დროს. შესაბამისად, შეუძლებელია, რომ სხეულზე არსებული დაზიანებები არ ყოფილიყო ხილული 2019 წლის 3 თებერვალს, როდესაც პენიტენციური დეპარტამენტის N[redacted] დაწესებულების საექიმო-სამედიცინო პუნქტის ექიმის მიერ ბრალდებულს ჩაუტარდა სხეულის გარეგანი დათვალიერება და შედგა შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტი.

ამრიგად, პენიტენციური დეპარტამენტის N[redacted] დაწესებულებაში ბრალდებულ
შესახლებისას შედგენილი სამედიცინო ცნობა სხეულის გარეგანი დათვალიერების შესახებ, სავარაუდოდ, შედგენილია არასრულყოფილად. კერძოდ, დაწესებულების საექიმო-სამედიცინო პუნქტის ექიმის ს მიერ უგულებელყოფილი იქნა სხეულზე არსებული დაზიანებების არსებობა და არ მოახდინა აღნიშნული დაზიანებების დოკუმენტირება კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების გათვალისწინებით.

დასკვნა:

შესაბამისად, მიმაჩნია, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის N8 დაწესებულების საექიმო-სამედიცინო პუნქტის ექიმის ს მიერ დაწესებულებაში შესახლებისას ბრალდებულ ს სხეულის გარეგნული დათვალიერებისას შედგენილი სამედიცინო დოკუმენტი შედგენილი იქნა „საქართველოს პატიმრობის კოდექსი"-ს 75-ე მუხლის მე-5 ნაწილის და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N117 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N[redacted] პენიტენციური დაწესებულების დებულების" მე-15 მუხლის მე-18 პუნქტით დადგენილი წესის დარღვევით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ წინადადებით, დაიწყოთ დისციპლინური საქმისწარმოება სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის N[redacted] დაწესებულების საექიმო-სამედიცინო პუნქტის

ექიმის წინააღმდეგ და მიიღოთ კანონშესაბამისი გადაწყვეტილება, ვინაიდან მან შესაძლოა დაარღვია „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა დისციპლინური წესდებისა და ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის №144 ბრძანების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი: სამსახურებრივი მოვალეობა ბრალეულად არ შეასრულა ან შეასრულა არაჯეროვნად.

ამასთან, გთხოვთ, მაცნობოთ მოცემული წინადადების განხილვის შედეგები „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

დანართი: 14 (თოთხმეტი) ფურცელი.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი